

























# ექსპრესიული ბარიტონი საქართველოდან

გია გაგნიძის ევროპული შთაბეჭდილებები

## ვიმარ ნაზარაძე

ვიმარის "გერმანიის ეროვნული თეატრის" სოლისტი გია გაგნიძე თბილისშია. "ვერდის ხმების" პირველი პრემიის ლაურეატი სამშობლოში ისვენებს და ემზადება მორიგი სეზონისთვის. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გამოზრდილი (ასე მიიჩნევენ თვითონ) განსაკუთრებულად ელოდება მშობლიურ თეატრთან თანამშრომლობას.

წლებადღე "ვერდის ხმებში" გერმანიაში მოღვაწე ქართველი საოპერო მომღერლის გამარჯვებას საქართველოში საკმაოდ რეზონანსი მოჰყვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გია გაგნიძე პირველი ქართველი მამაკაცია, რომელმაც ბუსეტოს კონკურსზე პირველი პრემიის ლაურეატის წოდება მიიღო (თავის დროზე პაატა ბურჭულაძე კონკურსის მეორე პრემიის ლაურეატი გახდა), მაშინ ამ ფაქტით გამოწვეული განსაკუთრებული სიხარული არც ისე გადაჭარბებულია გვეჩვენება. "ჩემთვის ეს გამარჯვება მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით სასიხარულო იყო, რომ ამ პაატა ქვეყნიდან ფინალში ორი ქართველი გავდიოდი, მით უმეტეს საკმაოდ ძლიერი კონკურენტის პირობებში", - ამბობს მომღერალი, რომელსაც კონკურსზე საკმაოდ რთული პროგრამა ჰქონდა. "შესასრულებელ არჩებში შედიოდა არია "კურტიზანი" "რიგოლეტოდან", რომელიც ერთ-ერთ ურთულეს ნომრად არის აღიარებული ბარიტონის რეპერტუარში. ჩემი გამარჯვება სწორედ ამ არიის უზადო ინტერპრეტაციამ განაპირობა, არა მარტო ხმითა და ემოციური მუხტით, არამედ საშემსრულებლო ოსტატობითაც, როგორც ეს არაერთხელ აღნიშნეს", - კონკურსში მონაწილეობას იხსენებს ქართველი მომღერალი.

გია გაგნიძემ "ვერდის ხმებში" საქართველოს სახელით გამოსვლის გამო გერმანული თეატრების ხელმძღვანელობა "გაანაწყინა". გერმანულთა თხოვნაზე, გერმანიის სახელით გამოსულიყო კონკურსზე, გაგნიძე კატეგორიული აღმობიანდა. "შევიდ ნელინადი თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში ვმუშაობდი, ეს ცოტა დრო არ არის, მე ამ თეატრის გამოზრდილი ვარ და მხოლოდ საქართველოს სახელით გამოვდივარ ყველგან", - ამგვარად ხსნის საკუთარ გადაწყვეტილებას "ვერდის ხმებში" პირველი პრემიის ლაურეატი.

ახალგაზრდა ბარიტონის კარიერა საკმაოდ ადრე დაიწყო. თბილისის სახელმწიფო კონსერ-



ვიმარის "გერმანიის ეროვნული თეატრის" სოლისტი გია გაგნიძე თბილისშია.

ვატორის მესამე კურსის სტუდენტმა თბილისის ოპერის თეატრიდან მიიღო მინევა. პირველი დე-ბიუტი ზურაბ სოტკილაგასთან ჰქონდა "ბალ-მასკარადში". პედაგოგებიდან ასახელებს დიზი ხე-ლაშვილს, თამაზ ლაფერაშვილს... 1994 წლიდან 2002-მდე თბილისის ოპერის თეატრში მთავარ პარტიებს ასრულებდა. სპექტაკლებს

შორის იყო: "აბესალომ და ეთერი" (მურმანის პარტია), "დაისი" (კია-ბიუტი ზურაბ სოტკილაგასთან), "დათო საყვარელიძესთან ერთად გაგაკეთეთ "სოფლის ღირსება"; სხვათა შორის, პირველმა დათო გაბედა და მამლერა პრემიერაზე. მან თავიდანვე დაიწყო ჩემში ის ძალა, რომელიც შემდგომში რამდენიმე

კონკურსში ვაჩვენე", - ეს კონკურსში ისვენებს. ემზადება მომავალი სეზონისთვის, რომელიც საკმაოდ დატვირთული აქვს (2007 წლამდე მისი გრაფიკი განუზღოვია), თუმცა ყველანაირად შეეცდება პირად კალენდარში გაზიაროს პერიოდი, როდესაც მშობლიურ, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან შემდგომში მუშაობს.

# ოფრა უდიდესი ჰიტებით



უდიდეს ჰიტებს არა მხოლოდ მომღერლები გამოსცემენ. მალე მათ ოფრა უინფრის შეუერთდება. მისი საუკეთესო გადაცემები DVD-ზე შეგროვდება და გამოიცემა სათაურით: "ოფრა უინფრის 20 წლის ობილესამდე მიღწეული კოლექცია". რამდენიმე დისკისგან შემდგარი კომპლექტი ნოემბრიდან გაიყიდება. ერთად გაერთიანდება, როგორც მთლიანი გადაცემები, ისე კულისებს მი-

ღმა დაფიქსირებული კადრები, ცალკეული ეპიზოდები და უინფრის ინტერვიუებიც. თავად ოფრა აცხადებს: "თითოეული ეს მოუჩემთის ძალიან ძვირფასია". გაყიდვიდან შესული მოგება მთლიანად ოფრა უინფრის ფონდში გადაირიცხება, რომელსაც უკვე გაუცია 30 მილიონ დოლარიდან გაიყიდება. ერთად გაერთიანდება, როგორც მთლიანი გადაცემები, ისე კულისებს მი-

**ფონდი "ლია საზოგადოება-საქართველო" და ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის განვითარების ფონდი**

**აცხადებს ერთობლივ კონკურსს**

**სოციალურ მეცნიერებებში სამეცნიერო ლიტერატურის ქართულ ენაზე სათარგმნელად**

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა: **2005 წლის 20 სექტემბერი**, სამშაბათი (17.00 სთ-მდე)

კონკურსის პირობების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: ფონდი "ლია საზოგადოება-საქართველო" ჭოველიძის ქ. № 10 (ყოფილი ბელინსკის ქუჩა) ტელ: 25 04 63 ან 25 05 92 ფაქსი: 29 10 52

**შემოთავაზება უსწრებს დროს!**

**უპროცენტო 3 წლიანი განვადება**

**ძალაქის ნებისმიერ უბანში**

**ტელ.: 23 25 36 25 30 80 25 32 16 91 25 07**

**ცენტრ ჰონდი**

**ფონდი "ლია საზოგადოება-საქართველო" OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION**

**ინფორმაცია კონკურსის შესახებ**

ფონდი "ლია საზოგადოება - საქართველო" სექტემბრიდან გეგმავს ოპერირებადი პროექტის განხორციელებას "უშუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების პროგრამა". პროექტი ითვალისწინებს სპეციალური შერჩევის შედეგად გამოვლენილ 100-მდე უშუშევრის - ძირითადად რეფორმების შედეგად საჯარო სამსახურიდან დათხოვნილი ადამიანების მომზადებას ორი ძირითადი მიმართულებით:

- 1) საკუთარი ბიზნესის წამოწყებისათვის აუცილებელი ცოდნის და კონსულტაციის მიღება და ბიზნესის სფეროში თვითდასაქმება;
- 2) არასამთავრობო სექტორის საქმიანობის სპეციფიკის სწავლება (და საპროექტო მუშაობა?).

**აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის ფონდი აცხადებს კონკურსს, რომლის მიზანი პარტნიორი ორგანიზაციის შერჩევაა.**

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც აქვს სათანადო რესურსი და გამოცდილება. კონკურსში მონაწილეობისათვის განმცხადებელმა ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს: აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის ორგანიზაციის მიერ მომზადებული სიტუაციური ანალიზი/კვლევა შესაბამის სფეროში;

- მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები;
- მონაწილეთა მომზადების დეტალური გეგმა/პროექტი;
- მონაწილეთა მომზადების მეთოდოლოგია;
- გეგმა/პროექტის დეტალური ბიუჯეტი;
- გეგმა/პროექტის განხორციელებელი პირების ავტობიოგრაფიები, მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს დეტალური აღწერის მითითებით.

კონკურსისთვის არ არის დადგენილი საკონკურსო განაცხადის სპეციალური ფორმა, შესაძლოა განმცხადებელმა იხელმძღვანელოს ფონდი "ლია საზოგადოება - საქართველოს" საკონკურსო განაცხადის ფორმითაც. ორგანიზაციამ ასევე უნდა წარმოადგინოს სრული ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ, შემდეგი მიმართულებებით:

- ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში; გამოცდილება ტრენინგისა და საკონსულტაციო სერვისის სფეროში;
- გამოცდილება ზრდასრულთა გადამზადებისა და ტრენინგის სფეროში; ორგანიზაციის რესურსები;
- ორგანიზაციის პარტნიორები, დონორები, მომხმარებლები;
- 2 სარეკომენდაციო წერილი პარტნიორი ან დონორი ორგანიზაციიდან.
- განმცხადებელი ორგანიზაციის სტანდარტები და ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც ის მოქმედებს;
- ორგანიზაციათა შერჩევა მოხდება წარმოდგენილი პროექტის და ინფორმაციის საფუძველზე. შესაძლებელია ფონდმა 2 ან მეტი პარტნიორი ორგანიზაცია შეარჩოს, რომლებიც პროექტის სხვადასხვა კონტრეტულ კომპონენტებზე იქნებიან პასუხისმგებელი.

განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა **2005 წლის 9 სექტემბერი**. კონსულტაციები გაიმართება 4; 25 აგვისტოს და 9 სექტემბერს 17.00 საათზე, ფონდის ოფისში შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭოველიძის ქუჩა 10.



